

## მართლმადიდებლური ლიტურგიკული მუსიკა: მონოდია თუ პოლიფონია?

წინამდებარე მოხსენების მიზანი არაა, განავრცოს საეკლესიო მრავალხმიანობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ მუსიკოს-ბიზანტინისტებთან პოლემიკა ან თუნდაც მსგავსი პოლემიკა ახლო საზღვარგარეთ. გვსურს მხოლოდ ყურადღება გავამახვილოთ საეკლესიო მუსიკის იმ თავისებურებებზე, რომელთა მიხედვითაც ცალკეული მუსიკალური ტრადიცია აღიქმება ან არ აღიქმება რელიგიური სტილის მქონედ.

შეიძლება ითქვას, რომ კულტი და მუსიკა ერთმანეთთან ონტოლოგიურადაა დაკავშირებული. მუსიკა, როგორც ყველაზე არამატერიალური და ამიტომ – არამქვეყნიური ხელოვნების დარგი, ამავე დროს, როგორც დროითი, ინტენსიური ზემოქმედების ინსტრუმენტი, ყოველთვის ემოციური ზემოქმედების მძლავრ ფაქტორად მიიჩნეოდა. თუმცა ტრანსცედენტულთან მიმართებაში მუსიკა სულიერ სამყაროში სუბლიმირდება და ემოციას მედიტაცია ცვლის. ქრისტიანული საეკლესიო საგალობლის გამომსახველობითი სტილიც დროთა განმავლობაში იმ მიმართებით ჩამოყალიბდა, რომ მსახურებისას ეკლესიის მსახურთა და ერის (მრევლის) ყურადღება ზენაარსისკენ მიემართოს, საზოგადო მსახურების – ლიტურგიის გარემო შექმნას, ხოლო პიროვნულ ადამიანურ ემოციებს (ვნებებს) დაშორდეს.

საკულტო, სატაძრო მუსიკის ერთ-ერთი მთავარი ესთეტიკური მსაზღვრელი არის მისი „მიღმურობა“, რეალური სივრცობრივი და დროითი ლოკალიზაციის უქონლობა. ეს მიმართება განპირობებულია იმით, რომ საეკლესიო მუსიკა ლოცვის მუსიკალური სამოსია. ხოლო ლოცვა უზენაესი, დროითი და სივრცით განუსაზღვრელ რეალიასთან საუბარია, რაც არაამსოფლიურ, და არა ყოფით ენაზე წარმოებს. შეიძლება ითქვას, საეკლესიო გალობა არის თეურგიული, ანუ - ღვთივგანბრძნობილი (თეურგიის არანეოპლატონისტური, ეზოთერული გაგებით).

ამავე დროს ტაძარში, ლოცვაში „ერთმანეთს ხვდება იმანენტური და ტრანსცედენტული, მიწიერი და უზენაესი, ხრწნადი და უხრწნელი“ (პ. ფლორენსკი). კულტი ესაა ერთგვარი ორიენტირი, უზენაესის შემეცნების სისტემა, ერთგვარი „სკოლაა“ მათთვის, რომელთაც არ აქვთ „პირდაპირი მისტიკური მზერა“ (პ. ფლორენსკი). საეკლესიო მუსიკა, საგალობელი აერთიანებს საღვთისმსახურო რიტუალის ორივე მხარეს - სიმბოლურსა და მისტიკურს (საიდუმლოს) და ამ უკანასკნელს უფრო თვალსაჩინოს ხდის მრევლისადმი. ზოგადად, საეკლესიო მუსიკის დედააზრი, ისევე, როგორც ზოგადად ქრისტიანული ღვთისმსახურებისა, მიმართულია ექვარისტისაკენ (წირვის, ლიტურგიის ძირითადი არსი), რადგან სწორედ ამ აქტშია გამოხატული შეუთავსებელი მოვლენების - ღვთაებრივისა და მიწიერის შეურევნელად შეერთება, რაც ასევე მუსიკის დიალექტიკურ ბუნებასაც ეხმიანება – როგორც ლოსევი ამბობდა, „მუსიკალური მყოფობის ეიდოსი არ არის სივრცობრივი ეიდოსი, მუსიკალურ მყოფობაში არ არის საგანი“ (ეიდოს - აბსტრაქტული მოვლენის ადეკვატური ხილული სახე), მაგრამ ამავე დროს მუსიკა და საკულტო მსახურება ერთმანეთს ემსგავსება პროცესუალობით. ეს არის დროითი ქმედება, სასრული, მაგრამ მუდმივი განმეორებადობის წყალობით, ერთგვარად - უსასრულოც.

აღნიშნული ნიშან-თვისებები არაა მხოლოდ მართლმადიდებლური ხედვისთვის დამახასიათებელი. ზოგადად რელიგიური მუსიკის სხვადასხვა ფორმებიც მსგავსი სტილურ-ესთეტიკური მიმართულებებისაა. ასეთებია:

- მულამი-ტაქსიმი-რაგა
- ბიზანტიურ-გრიგოლისეული *cantus planus*
- ბურდონი-ბიზანტიური-ბალკანეთი
- პასიბუტბუტი
- ხორხისმიერი მღერა (ხოსა-მონგოლეთი-ცენტრალურიაზია)

უფრო კონკრეტულად კი რელიგიური მუსიკის ზოგად მახასიათებლებად შემდეგ ნორმებს მივიჩნევთ:

- არაპერიოდული რიტმული ნახატი
- მელოდიური ინტერვალიკის ერთგვაროვნება
- კილო
  - პენტატონიკა
  - მოდალური კილო
  - დიატონიკა საყრდენით
- იმპროვიზაცია
- ბურდონი და ხმის შეყოვნება
- ორგანუმი – და ჩვენი აზრით, აქ ქართული საგალობლის წინაპარი წყობაც იგულისხმება.

ზოგადად ამა თუ იმ საშემსრულებლო სტილის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა თავად ამ სტილის ორიგინალური, ერთგვარი მაიდენტისფიცირებელი ნიშან-თვისებები. კერძოდ, ასეთად ქართულ საგალობელში უნდა მივიჩნიოთ:

- სამხმიანი წყობა;
- ხმათა პარალელიზმზე და ხმათა ვარიანტულ განვითარებაზე დაფუძნებული ორიგინალური სტილის მრავალხმიანობა;
- კადანსირება პრიმას ან კვინტას ინტერვალებზე;
- კანონიკური (ანუ ტრადიციული) მელოდია ზედა ხმაში;
- საგალობლებში საკმაოდ ერთგვაროვანი კილოური და ემოციური შეფერილობა (მკაფიოდ არ გამოიყოფა სადიდებელი, სინანულის, ქების, გლოვის ინტონაციები).

მართმადიდებლურ საეკლესიო მუსიკის სტილს შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

- ვოკალური, აკაპელა შესრულება - ინსტრუმენტების გარეშე;
- რვა-ხმა სისტემის საფუძველი;
- ანტიფონური გალობა;
- შემსრულებლების ერთგვაროვანი სქესობრივი რეგლამენტი (ან მამაკაცთა, ან - ქალთა გუნდები)

- უაქცენტო მეტრი, სადაც სინკოპური თუ პუნქტირული რიტმული ნახაზი ორზე მეტი რეგულარობით არ მეორდება.
- მოდალური კილოური და ესთეტიკური აზროვნება;

რაც შეეხება ზოგადქრისტიანული ტრადიციული საეკლესიო (რომელშიც „ძველი სამყაროს“ ტრადიციულ კონფესიებს ვგულისხმობთ) მუსიკის სტილს, მას შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

- როგორც ტექსტობრივი, ასევე შესრულების მკაფიო რეგლამენტს დაქვემდებარებული და საეკლესიო განგებას - ტიპიკონს შეფარდებული საგალობლები;
- მიწიერი ემოციისგან განრიდებული, მდორე, ხმებში უმეტესად სეკუნდური მოძრაობა (საინტერესოა, რომ მე-17 საუკუნის რუსი ძველმეწესეები, როდესაც განიკითხავდნენ პატრიარქ ნიკონის საეკლესიო რეფორმას ერთ-ერთ აურყოფით სიახლედ მიიჩნევდნენ ახალი, კიევური გალობის „ტეხილ“ ხმას);
- ვაკალური საწყისის უპირატესობა ინსტრუმენტულთან შედარებით.

უნდა ითქვას, რომ თავად მუსიკალური ენის ნაკლებად ობიექტივირებული თვისების გამო, მართლმადიდებლურ ხელოვნებაში სწორედ მუსიკაა ყველაზე მრავალფეროვანი. ეს ფაქტი კი დროდადრო იწვევს ტრადიციის რევიზიის მოსურნეთა მცდელობას – უნიფიცირებულ იქნეს აღნიშნული სტილური სხვადასხვაობა. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკის „კანონიკური“ სტილად რუსული, ბიზანტიური და ქართული მიმართულებებიდან რომელიმე ერთის გამორჩევა არცერთი ავტორიტეტული წყაროთი არ დასტურდება, მაინც აქა-აქ დღესაც ვხვდებით „პატრიარქზე მეტად ორთოდოქსების“ მიერ კანონიკურ მართლმადიდებლურ გალობად მხოლოდ ერთხიანობის აღიარების შემთხვევებს. დისპუტში უპირველესი არგუმენტები უმეტესად ციტატებია წმინდა წერილიდან და მამათა ნაშრომებიდან, რომელთა ინტერპრეტაცია ასევე დაბრკოლების ქვა (საბაზი) ხდება ხოლმე.

ვფიქრობთ საკითხი უფრო ფართოდ უნდა გავიაზროთ და დავსვათ შემდეგი შეკითხვები:

არის თუ არა მკაფიოდ გამოკვეთილი მუსიკალური სტილი მართლმადიდებელთათვის ღმერთთან ყველაზე ახლოს მიმყვანი?

არის თუ არა ლიტურგიკული მუსიკის ძირითადი ჩამომყალიბებელი ფაქტორი ტრადიცია და არა - დირექტივა?

რამდენად ეხამება საეკლესიო ესთეტიკას ეთნიკური მუსიკალური ენის ცალკეული გამოვლენები?

ჩამოვთვლით მხოლოდ ერთხიანობის მაღიარებელთა და მის საპირწონედ საეკლესიო მრავალხიანობის გამამართლებლებთა ერთგვარ არგუმენტებს და ვეცდებით ვიმსჯელოთ მათზე:

- ერთხიანობის უპირატესობის არგუმენტები მრავალხიანობის მიმართ:

- ნიშან-ხატობრივი შესაბამისობა – ერთხმიანობა ღმერთში ერთადერთობას გვაგრძობინებს (სამაგიეროდ სამხმიანობა – ღმრთის სამპიროვნებას)
- არსობობს გარკვეული მინიშნებები წმინდა წერილიდან და მამათა შეგონებებიდან: მოთმინებისა და ნუგეშისცემის ღმერთმა კი, დაე, ერთსულოვნად გამყოფოთ ქრისტე იესოს მიერ.6. რათა ერთსულოვნად და ერთხმად ადიდებდეთ ღმერთსა და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამას.“ (რომ : 15).
- პოლიფონია რომ მონოდიასზე ნაკლებად აღიქმება საეკლესიო სტილად, ამ მოსაზრების მიმართ ამას წინათ ჩატარებული საეკლესიო მუსიკისმცოდნეობის სემინარის უცხოელმა მონაწილეებმაც დაგვადასტურეს თავიანთი დადებითი აზრი;
- აღსანიშნავია ერთი ხმის, როგორც ერთსულოვნების ეფექტი –
  - კერძოდ – ის, რომ უნისონი ხალხის მუსიკალურად გაერთიანების საუკეთესო საშუალებაა.
  - ასევე ის, რომ ხალხს ყველა შემთხვევაში უადვილდება უნისონის მღერა, ვიდრე ხმის შეწყობა. მიუხედავად იმისა, თუ რომელ კულტურას წარმოადგენს - მრავალხმიანს, თუ ერთხმიანს. ასე, რომ ქრისტიანობისთვის, როგორც ეგზოთერული რელიგიისთვის, ყველას რელიგიისათვის, უნისონი გალობის საერთაშორისო ენაა. განსაკუთრებით - როცა საქმე რაიმე ტექსტის ერთად გამღერებას ეხება. ერთადერთი ჩანასახი თავდაპირველივე მრავალხმიანობისა შესაძლოა, ძველ აკლამაციებში - უფალო შეგვიწყალე ვიგულისხმობთ – როგორც რესპონსორიუმის ფორმა.
  - უნისონში ნაკლებად გამოიყოფა რომელიმე ინდივიდუალური ხმა, ვიდრე – მრავალხმიანობაში;
  - უნისონში არაა დამხმარე, ანუ ზოგიერთი ინტერპრეტაციით, ზედმეტი ხმები;
- რაც შეეხება მრავალხმიანობის არგუმენტებს:
  - იმის გამო, რომ რელიგიური მუსიკისათვის მელოდიის ყოველწამიერი და არა – მოსმენისშემდგომი, შემკრები, სიმულტანური აღქმაა დამახასიათებელი, მრავალხმიანობის მიერ მონოდიის „შენიღვა“ – მასზე ყურადღების შესუსტება სწორედ რომ ლოცვითი ტექსტისადმი ყურადღების შენარჩუნებას ემსახურება მუსიკის წილ.
  - იქნებ გამრავალხმიანებისაკენ მისწრაფება - დაცემული ბუნების შედეგია? მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, ეკლესია მკაცრად დაგმობდა ამ ტენდენციას. ფაქტია, რომ ეკლესიის მიერ მრავალხმიანობისადმი მკაფიოდ გამოხატული პროტესტი არ გამოთქმულა.
  - მელოდია იზოკრატემით - მის შესახებ ბერძნები მიიჩნევენ, რომ ისონი არაა მრავალხმიანობის კომპონენტი. მაგრამ მონოდია ისეთი მუსიკაა, რომელსაც გამრავალხმიანება არ ჭირდება. და თუ ჭირდება, ე.ი. ეს მელოდია არ ყოფილა მონოდიური ტიპის. და საქმეც ისაა, რომ ნებისმიერი ის მელოდია, რომელიც

დიატონურ კილოშია და არა - თუნდაც პენტატონიკაში, გულისხმობს გარკვეულ საყრდენ ბგერებს (მაგალითად რეპერკუსა მოდალური კილოს გალობაში) და შესაბამისად - იხდენს ამ საფეხურების ბანით ხაზგასმასაც.

- შეიძლება ითქვას, რომ მრავალპოზიციური მრავალხმიანი გალობა უკეთ ასახავს თავისი ობიექტის – ღმრთის ისეთ თვისებებს, როგორცაა სიდიადე, ყველგანმყოფობა. მრავალხმიანობა თითქოს ღმრთის ხატებაა საგალობელში, ხოლო ერთხმიანობა – ეკლესიის ერთსულოვანი ლოცვის პორტრეტი.
- საგალობელში შეიძლება ორგვარი მრავალხმიანობა ვიგულისხმოთ: სიმულტანური (რეალური) და სუქცესიური - ნომინალური (პარტიების მონაცველობა სხვა ხმებში პაუზებით) და წარმოსახვითი (ცალკე მყოფი ორი ან მეტი მოტივის ერთ შინაარსად აღქმა). ამ მხრივ თვით რვა-ხმა სისტემაც კი შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც პოლიფონია დროში.
- ისიც ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანული საღვთისმსახურო მუსიკის განვითარების ადრეულ პერიოდში დოგმატური ელემენტი დომინირებდა ლირიკულზე, რადგანაც მასში მთავარი იყო აღმსარებლობა და არა - ემოციათა გამჟღავნება. ამიტომაც შესაბამისი ინტონირება ლაკონურობით გამოირჩეოდა. ამგვარი შესრულების პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კლიმენტი ალექსანდრიელი, ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგოლ ნოსელი და ეკლესიის სხვა მამები. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ თავად მონოდიამ ფსალმოდებიდან ისეთივე მუსიკალური განვითარების პროდუქტია, როგორც მისგან წარმოშობილი მრავალხმიანობა.
- და ბოლოს ისიც აღსანიშნია, რომ მრავალხმიანი გალობის სავალდებულო ტრადიციულად, ზოგ შემთხვევაში კი – კანონიკურად მიღება რუსული ეკლესიის სინოდის 1900 წლის, ხოლო ქართული ეკლესიის სინოდის მიერ 2003 წლის დადგენილებებშია საუბარი.

მაშინ, როდესაც უშუალოდ ბიზანტიური გალობის ქართულთან შედარებით მეტ ლგიტიმურობაზეა ხოლმე საუბარი, შემდეგი მოსაზრებებიც უნდა გავითვალისწინოთ:

- სულიწმინდის მოფენის მართლმადიდებლურ გააზრებაში მრავალ ენაზე მეტყველება თავიდანვე იყო გაგებული, როგორც ერების კურთხევა. ცხადია, აქ მათი მუსიკალური ენების კურთხევაც უნდა ვიგულისხმოთ.
- როგორც ბიზანტიური, ასევე – ქართული საგალობელი ჰომოფონიურ წყობად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ბიზანტიური უშვებს შებანების შესაძლებლობას, ხოლო თავის მხრივ, ქართული „უნისონური მრავალხმიანობა“ ინარჩუნებს ბმას ძირითად, კანონიკურ მოტივთან;
- ბიზანტიური იზოკრატემის ხმოვანზე გამდერებული ვარიანტი, რომელსაც ბერძნები მაინც ერთხმიანობის თანმდევ კომპონენტად აღიქვამენ და რომელსაც მეორე - სიტყვიერ ვერსიისაგან არსობრივად არ ასხვავებენ, მაგალობელის მიერ ტექსტის სხვისადმი დილეგირებად აღიქმება, რაც გარკვეულ სეგრეგაციას გულისხმობს

მაგლობელთა შორის, და ამით, გარკვეულწილად ლაოდიკის კრების კანონსაც არღვევს, რომ მაგლობლებში ვინმე არ უნდა გამოიყოფოდეს.

- და ზოგადად ერთხმიანობა არ უნდა იქცეს გარკვეული მელოდიური მოდელის ერთგვარ ფეტიშად, რაც ამ წყობას მაგიურობისათვის დამახასიათებელ ფორმულურობას მიანიჭებს.
- ბოლომდე არაა გამოსარიცხი კათოლიკური ან სხვა რომელიმე ტიპის ქრისტიანული გალობის ფაქტურული ზეგავლენა ქართულ გალობაზე. ყველაზე მეტად ამ შესაძლებლობაზე მიგვითითებს ზედა ხმების პარალელურად დალიანდაგების ტენდენცია.
- დასკვნის სახით შემდგომ პუნქტებს სემოგთავაზებთ:
  - მუსიკალური აზროვნების განვითარების – მელოდიის მოცულობის ზრდის და გამშვენიერების კანონი ეხება საეკლესიო გალობის ყველა სტილს.
  - მართლმადიდებლური გალობის ძირითად თავისებურებათაგან ერთი მელოდიისადმი მორჩილებას, ასევე – რვა–ხმათა ეთოსურ აღქმას დღეს უმეტესად ტრადიციის მნიშვნელობა უფრო ენიჭება, ვიდრე – რამდენადმე ქმედითი ლიტურგიკული ან ესთეტიკური ეფექტისა.
  - მართლმადიდებლურ სივრცეში იმ სამგალობლო სტილის „არაკანონიკურად“ წოდება, რომელთა ტრადიციის უწყვეტობა ეჭვს არ იწვევს, გარკვეულწილად მკრებელობად შეიძლება მივიჩნიოთ. ისტორია გვაჩვენებს, რომ მუსიკა ვითარდება არა დირექტივებით, არამედ თავისი სტილისტური კუთხით იმანენტური განვითარების პრინციპებით.
  - ზოგადად, მსოფლიოში არსებული სხვადასხვა მუსიკალური კულტურებიდან რომელიმეს მართლმადიდებლობისადმი მეტად შესაბამისად მიჩნევა ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობის მოძღვრებას ყოველი ადამიანის თანასწორობის შესახებ. არცერთი ეთნიკურ ყოფითი მუსიკა ლიტურგიკულსი ვერ დაპორტირდება უცვლელად. ქრისტიანობა ზოგადასაკაცობრიო რელიგიაა და მას ხალხურისაგან განსხვავებული მუსიკალური ენა აქვს. მაგრამ სავსებით ბუნებრივია ყოველ ადგილობრივ საეკლესიო ტრადიციაში გამოსჭვიოდეს შესაბამისი ეთნიკური მახასიათებელი.
  - ცხადია, რომ მართლმადიდებლური ლიტურგიკული მუსიკის ესთეტიკური პარამეტრები თანხვედრაშია ზოგადად რელიგიური მუსიკის კანონზომიერებებთან. ღმრთის სადიდებლად თავიანთი არგუმენტი აქვთ როგორც მონოდიას, ასევე – პოლიფონიას. თუმცა ტრადიციით უპირატესობა ამ მხრივ მონოდიას ერგო. ქართული საგალობლის სააზროვნო პრინციპი კი სწორედ მონოდიიდან ამოზრდილი მრავალხმიანობაა.

**თამაზ გაბისონია**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**